

**მდ. მტკვრის და ქ. თბილისის ტერიტორიაზე მისი მცირე შენაკადების წყლის ხარისხის  
განსაზღვრა ჰიდროქიმიური მახასიათებლების გამოყენებით**

***სოფიო მდივანი***

ელ.ფოსტა: [sopio.mdivani026@ens.tsu.edu.ge](mailto:sopio.mdivani026@ens.tsu.edu.ge);

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ი. ჭავჭავაძის გამზ. 1 0179 თბილისი, საქართველო

კვლევის ფარგლებში მოხდა წყლის ხარისხის დადგენა მდინარე მტკვრის შემდეგ პუნქტებში: ხერთვისი, ბორჯომი, ზაჰესი, ვახუშტის ხიდი (თბილისი), გაჩიანი, რუსთავი, და თბილისის ტერიტორიაზე მისი ზოგიერთი შენაკადის: გლდანისხევი, დიღმისწყალი, ვერე, ლოჭინი, მათი ჰიდროქიმიური მახასიათებლების მეშვეობით. გამოყენებული იქნა არანაკლებ 6-7 ინდიკატორისა, რომელთა საშუალებით მოხდა წყლის ხარისხის განსაზღვრა მდ. მტკვრის ზემოთ აღნიშნულ პუნქტებსა და მის მიცირე შენაკადებში.